საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია 1997 წლის 15 მაისს

ხელშეკრულება
საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის
სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ

საქართველო და სომხეთის რესპუბლიკა, შემდგომში "ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად" წოდებულნი, ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
სამართლებრივი დაცვა

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც ხელშეკრულებების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეები. მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, პროკურატურასა და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო სამართლის საქმეები (შემდგომში "დაწესებულებები") წარადგინონ სარჩელი და განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებები იმავე პირობებით, როგორც მერე ქვეყნის მოქალაქეებმა.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე, რომლებიც დაფუძნებულია ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარის ტერიტორიაზე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მოცემული ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად, ტერმინი "სამოქალაქო საქმეები" მოიცავს ყველა იმ საქმეებს, რომელიც თითოეული მხარის ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო საქმეებად ითვლება.

მუხლი 2
სამართლებრივი დახმარება

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები უწევენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მოცემული ხელშეკრულებების დებულებათა შესაბამისად და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც განისაზღვრება მათი ნაციონალური კანონმდებლობით.

მუხლი 3
უფასო სამართლებრივი დახმარება

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარის მოქალაქეები სარგებლობენ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე უფასო სამართლებრივი დახმარების უფლებით იმავე პირობებით, როგორც საკუთარი მოქალაქეები.

მუხლი 4
სამართლებრივი დახმარების ფორმები

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მოთხოვნის საფუძველზე აღმოუჩენენ ერთმანეთს სამართლებრივ დახმარებას დოკუმენტების შედგენისა და გადაცემის, სარჩელის უზრუნველყოფისათვის ზომების მიღების, პროცესის მონაწილეთა, მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვას, ექსპერტიზის ჩატარების, ადგილზე დათვალიერების, სასამართლო და სხვა გადაწყვეტილებათა ცნობის და აღსრულების მათ შორის მევალეთა დაძებნისათვის ღონისძიებათა განხორციელების, აგრეთვე სხვა პროცესუალური მოქმედებების შესრულების გზით.

მუხლი 5
ურთიერთობის წესი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას

1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები უკავშირდებიან ერთმანეთს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ცენტრალური ორგანოების მეშვეობით.

2. მოცემული მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ცენტრალურ ორგანოებს წარმოადგენენ: საქართველოსათვის - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სომხეთის რესპუბლიკისათვის - სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო

მუხლი 6
კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება სამათლებრივი
დახმარების აღმოჩენისას

1. შესმსურებელი დაწესებულება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას იყენებს თავისი სახელმწიფოს ნაციონალურ კანონმდებლობას.

2. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნის საფუძველზე გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ნაციონალურ კანონმდებლობას.

მუხლი 7
ენა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა დაწესებულებები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა საკითხებზე ურთიერთობებისას სარგებლობენ თავიანთი სახელმწიფო ენითა და რუსული ენით.

მუხლი 8
დოკუმენტების გაფორმება

ხელშეკრულების მონაწილე მხარეების დაწესებულებათა მიერ სამართლებრივი დახმარების გასაწევად გასაგზავნი დოკუმენტები დგება მათ სახელმწიფო ენაზე და თან ერთვის დამოწმებული თარგმანი რუსულ ენაზე.

მუხლი 9
სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან

დაკავშირებული ხარჯები

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს უწევენ სამართლებრივ დახმარებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე არ მოითხოვს სამართლებრივი დახმარების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯების ანაზღაურებას. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თავად კისრულობენ ყველა იმ ხარჯებს,რომელიც წარმოიქმნება მათ ტერიტორიაზე, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას.

მუხლი 10
უარი სამართლებრივ დახმარებაზე

თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე თვლის, რომ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს მის სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან ეწინააღმდეგება მის ეროვნულ კანონმდებლობას, მას შეუძლია უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე, ამასთან ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს ატყობინებს უარის მოტივებს.

თავი II
შეტყობინება და დოკუმენტების გადაცემა

მუხლი 11
დავალება შეტყობინებასა და დოკუმენტების გადაცემაზე

თუ სასამართლო ან არასასამართლო დოკუმენტები ეხება პირს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი გააჩნია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ცენტრალური ორგანო უგზავნის ხელშეკრულების მონაწილე, შემსრულებელი მხარის ცენტრალურ ორგანოს დავალებას შეტყობინების ან დოკუმენტების გადაცემის შესახებ.

მუხლი 12
დოკუმენტების გადაცემის წესი

1. დოკუმენტების გადაცემა წარმოებს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დოკუმენტების გადაცემის დადასტურება ფორმდება დოკუმენტების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი წესების შესაბამისად.

დადასტურებაში მითითებული უნდა იქნას გადაცემის დრო და ადგილი, აგრეთვე პირი, რომელსაც გადაეცემა დოკუმენტი.

3. დასტური დოკუმენტების გადაცემის მცდელობის შესახებ ფორმდება მოცემული მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული წესით. დოკუმენტები, რომლებიც არ იქნა გადაცემული, უბრუნდება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ცენტრალურ ორგანოს.

4. დოკუმენტების გადაცემა შეიძლება წარმოებდეს აგრეთვე:

ა) დოკუმენტების უშუალოდ ადრესატისათვის ფოსტით გაგზავნის გზით;

ბ) განსაზღვრული დოკუმენტების ან მათზე შეტყობინებების გადაცემა საკუთარი ხარჯებით იმ ხერხების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე რომელიც ახორციელებს გადაცემას.

მუხლი 13
დოკუმენტების გადაცემა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის დაწესებულებების დავალების შესაბამისად დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობები, რომლებიც აკრედიტირებული არიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, შეუძლიათ გადასცენ დოკუმენტები საკუთარ მოქალაქეებს, ამასთან გადაცემისას არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულებითი ხასიათი ღონისძიებებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ნაციონალურ კანონმდებლობას.

თავი III
დავალებები

მუხლი 14
სამართლებრივი დახმარების შესახებ დავალების ფორმა

სამართლებრივი დახმარების შესახებ დავალება უნდა იქნას შედგენილი წერილობითი ფორმით და დავალების შინაარსის გათვალისწინებით უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შემკითხველი დაწესებულებულების დასახელებას;

ბ) შეძლებისდაგვარად შემსრულებელი დაწესებულების დასახელებას.

გ) იმ საქმის ხასიათსა და საგანს, რომელთან დაკავშირებაც ხდება სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა, დავალების შინაარსი;

დ) იმ პირთა სახელებსა და გვარებს, რომლებსაც კავშირი აქვთ საქმესთან, მათ მოქალაქეობას,სქესს, საქმიანობას,საცხოვრებელ ადგილსა ან ადგილსამყოფელს, დაბადების წელსა და ადგილს, ხოლო იურიდიული პირობისათვის - დასახელებას, ადგილმდებარეობასა და მისამართს.

ე) ამ მუხლის "დ" პუნქტში აღნიშნული პირების წარმომადგენელთა არსებობისას, მათ სახელებს, გვარებს და მისამართებს;

ვ) გადასაცემი დოკუმენტის დასახელებას.

ზ) ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობიდან ამონაწერს ან ასლს, რომელიც შეეხება საქმესთან დაკავშირებულ პირთა პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 15
დავალების შესრულება

1) დოკუმენტის გადაცემის დავალების შესრულების დამადასტურებელ საბუთში უნდა იყოს აღნიშნული მიღების თარიღი, მიმღების ხელმოწერა და დავალების შემსრულებელი პირის ხელმოწერა. თუ მიმღები უარს ამბობს მიღებაზე, უნდა იქნას აგრეთვე მითითებული უარის თქმის მოტივები.

2) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად დავალების შესრულება არ შედის

ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებათა კომპეტენციაში, დავალება შეიძლება დაბრუნებულ იქნეს უარის მოტივების მინიშნებით.

3) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ დაწესებულებას არა აქვს უფლება შეასრულოს დავალება,იგი ვალდებულია აღნიშნული დავალება შესასრულებლად გაუგზავნოს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კომპეტენტურ დაწესებულებებს, აგრეთვე აცნობოს ამის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულებას.

4) შემკითხველმა დაწესებულებამ შეიძლება მოითხოვოს, რომ დაინტერესებულ მხარეებს და, შეძლებისდაგვარად, მათი წარმომადგენლებს უშუალოდ შეატყობინონ დავალების შესრულების თარიღი და ადგილი დასწრების მიზნით.

5) ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე უფლებამოსილია თავის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების მეშვეობით, იძულების გარეშე,შეასრულოს ის სასამართლო დავალებები, რომლებიც შეეხება მათ მოქალაქეებს.

მუხლი 16
დავალების შესრულების სპეციალური ხერხები

1. ხელშეკრულების მონაწილე კომპეტენტური დაწესებულებები ასრულებენ სასამართლო დავალებებს იმ ფორმით, რომელსაც ითვალისწინებს მათი შიდა კანონმდებლობა.

2. შემსრულებელ დაწესებულებას შეუძლია დააკმაყოფილოს შემკითხველი დაწესებულების თხოვნა დავალების შესრულების სპეციალური ფორმის გამოყენების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არ შეესაბამება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონებს, მის სასამართლო პრაქტიკას ან როდესაც მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

3. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე უფლებამოსილია მთხოვოს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს ექსპერტებისათვის გადახდილი გასამრჯელოს ანაზღაურება, აგრეთვე იმ ხარჯებისა, რომლებიც გადახდილი გასამრჯელოს ანაზღაურება, აგრეთვე იმ ხარჯებისა,რომლებიც დაკავშირებულია დავალების შესრულების სპეციალური ფორმის გამოყენებასთან.

თავი IV
სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება

მუხლი 17
გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას

1) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად, ცნონ და აღასრულონ თავიანთ ტერიტორიაზე ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია და შესულია კანონიერ ძალაში ხელშეკურულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე.
2) ტერმინი "სასამართლო გადაწყვეტილებები", რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, ნიშნავს:

საქართველოსათვის -გადაწყვეტილებებს სამოქალაქო (მათ შორის სამეურნეო) საქმეებზე; მხარეთა მორიგებები სასამართლოში; განაჩენები დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში, დოკუმენტები მამობის დადგენის და საალიმენტო

ვალდებულებათა შესახებ; დოკუმენტები, რომელთაც გააჩნიათ სააღსრულებო წარწერა; გადაწყვეტილებები სასამართლო ხარჯების შესახებ.
სომხეთის რესპუბლიკისათვის -გადაწყვეტილებები სამოქალაქო,მათ შორის სამეურნეო საქმეებზე; სასამართლოს მიერ დამტკიცებული მხარეთა მორიგებები; განაჩენები სისხლის სამართლის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. დოკუმენტები, რომლებსაც გააჩნიათ სააღსრულებო წარწერა; გადაწყვეტილებები სასამართლო ხარჯების გადახდის შესახებ; სამედიატორო სასამართლოთა გადაწყვეტილებები.

მუხლი 18
შუამდგომლობა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ

1. სასამართლო გადაწყეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობა განმცხადებლის მიერ წარედგინება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და გადაეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლში გათვალისწინებული წესით. განმცხადებელს შეუძლია აგრეთვე უშუალოდ მიმართოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოს.

2. შუამდგომლობას სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სასამართლოს მიერ დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; თუ ასლში არ არის ზუსტი მინიშნება იმაზე, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და შეიძლება აღსრულდეს, მაშინ მას უნდა დაერთოს ერთი ეგზემპლიარი სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტისა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;

ბ) სასამართლოს დოკუმენტი, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე გადაწყვეტილების აღსრულებული ნაწილის შესახებ;

გ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მხარეს, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას პროცესში, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, ხოლო მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში - რომ მას ჰყავდა შესაბამისი წარმომადგენელი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის ან ხელშეკრულების მონაწილე შუამდგომლობის წარმომდგენი მხარის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული თარგმანი.

მუხლი 19
სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესი

1. სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლოს მიერ, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, ხელშეკრულების ამ მონაწილე მხარის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სასამართლო, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, არ განიხილავს გადაწყვეტილებას არსებითად, არამედ განიხილავს მხოლოდ მის წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

3. სასამართლომ, რომელსაც წარედგინა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დამატებითი მასალების წარმოდგენა.

მუხლი 20
ცნობისა და აღსრულების იურიდიული ძალა

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოს მიერ მეორე მხარის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას გააჩნია ისეთივე ძალა, როგორიც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მუხლი 21
უარი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომტანი მხარის ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ან აღსრულებას არ ექვემდებარება;

ბ) თუ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, საქმე განეკუთვნება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას;

გ) თუ მხარეს, რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში გადაწყვეტილების გამომტანი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არ ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ ანდა მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში არ მონაწილეობდა მისი წარმომადგენელი;

დ) თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ანდა იგი იმყოფება წარმოებაში,შემსრულებელი მხარის სასამართლოში ანდა უკვე მოხდა ამავე საქმეზე მესამე სახელმწიფოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა.

თავი V
ლეგალიზაციისაგან განთავისუფლება, დოკუმენტები მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაციის გაცვლა

ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ხელშეკრულების მონაწილე ერთერთი მხარის ტერიტორიაზე, თავისუფლდება ლეგალიზაციის ან სხვა ანალოგიური ფორმალობებისაგან, როცა ისინი წარდგენილ უნდა იქნას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 23
მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ
დოკუმენტების გადაცემა

1) ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე, მოთხოვნის და კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადასცემს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს იმ აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლებს, რომლებიც ეხება ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის მოქალაქეთა მოქალაქეობრივ მდგომარეობას.

2) განცხადებებისა და მოქალაქეობრივი მდგომარების შესახებ აქტების გადაცემა ხდება დიპლომატიური ან საკონსულო გზით; განცხადებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლების გადაცემა ხდება ცენტრალური ორგანოების საშუალებით.

მუხლი 24
ინფორმაციის გაცვლა

მოთხოვნის შემთხვევაში ცენტრალური ორგანოები აწვდიან ინფორმაციას თავიანთი ნაციონალური კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლებს.

თავი V
დასკვნითი დებულებები

მუხლი 25
დოკუმენტების ნამდვილობა

დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ან დამოწმებულია ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოსა ან სხვა დაწესებულებების მიერ, ნამდვილია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულების ოფიციალური ბეჭედი, ასეთი სახით ისინი შეიძლება მიღებულ იქნან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოსა ან დაწესებულების მიერ ლეგალიზაციის გარეშე.

მუხლი 26
დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ამ ხელშეკრულების ახსნასა და შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე წამოჭრილ დავებს წყვეტენ ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლში აღნიშნულ შესაბამის ცენტრალურ ორგანოებს შორის კონსულტაციების საშუალებით ანდა დიპლომატიური არხებით.

მუხლი 27
კონსულტაციები, ცვლილებები და დამატებები
ხელშეკრულებაში

1) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პერიოდულად გაცვლიან ინფორმაციას ამ ხელშეკრულების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ და ჩაატარებენ კონსულტაციებს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით.

2) ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 28-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 28

ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1) წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას.

2) წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან 30 დღის შემდეგ.

3) წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და მისი მოქმედების ვადა წყდება ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 6 თვის შემდეგ.

შესრულდა 4 ივნისს 1996 წ. ორ ეგზემპლიარად, თითოეული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა.

აღნიშნული ხელშეკრულების განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ეყრდნობიან რუსულ ენაზე შესრულებულ ტექსტს.

საქართველოს სახელით

სომხეთის რესპუბლიკის სახელით